ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1908589

ნომერი: AR1310539

თარიღი : 15.05.2015

გაცემის თარიღი : 03.06.2015

გაცნობის თარიღი : 05.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ბედოიძე პ/ნ 01027038854
- ვარკეთილი 3, I მკ/რ, კორპ. 13, ბინა 94.

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.07.2014 წ. #1333984 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 15.05.2015 წ. #AR1310539 განცხადებით მომართა აკაკი ბედოიძემ (თანაგამცხადებელი დიმიტრი მარგალიტაშვილი) და მოითხოვა 01.07.2014 წ. #1333984 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო საკადასტრო ერთეულის მონაცემების შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 01.07.2014 წ. #1333984

გადაწყვეტილებით #01.72.14.036.497 (750 მ2) საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური შენობის (სასტუმრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტი) ასაშენებლად დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.72.14.036.673 ფართობი – 801 კვ.მ), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულის მონაცემების ცვლილების შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.07.2014 წ. #1333984 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.72.14.036.673 ფართობი – 801 კვ.მ);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.07.2014 წ. #1333984 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-801 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.72.14.036.673;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.07.2014 წ. #1333984 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კ.მ. #6) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.